საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მამუკა ნოზაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

ანა კოტეტიშვილი – კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ა. მ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 14.04.2022

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 028/22

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ გ. ქ.-ს მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ გ. ქ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2022 წლის 14 აპრილს საჩივრით მომართა ა. მ.-მა და მოითხოვა ადვოკატ გ. ქ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, მისი შვილი, გ. მ., 2018 წლის 20 მარტს დაუდგენელ ვითარებაში გარდაიცვალა და ამ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობდა გამოძიება. 2018 წლის 16 აგვისტოს მასსა და დვოკატ გ. ქ.-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ადვოკატ გ. ქ.-ს მონაწილეობა უნდა მიეღო გამოძიების პროცესში.

1.3 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატმა გ. ქ.-მა მას მიაწოდა ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებულ საგამოძიებო მოქმედებების ხარვეზებთან დაკავშირებით და უთხრა, რომ ის წარადგენდა საჩივარს აღნიშნული დარღვევების გამო.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტების მიხედვით, ადვოკატმა გ. ქ.-მა მას უთხრა, რომ საქმის დასაწყებად საჭირო იყო 1500 აშშ დოლარის გადახდა. საჩივრის ავტორმა ადვოკატ გ. ქ.-ს აღნიშნული თანხა გადასცა.

1.5 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ თავდაპირველად ადვოკატი გ. ქ. მას აწვდიდა ინფორმაციას საქმესთან დაკავშირებით, უთხრა თუ ვინ იყო საქმის პროკურორი და გამომძიებელი, ასევე უთხრა, რომ სარჩელი შეიტანა სასამართლოში, თუმცა, ამის შემდეგ, თითქმის 6 თვის განმავლობაში მას ადვოკატი აღარ ეხმიანებოდა და არც მის სატელეფონო ზარებს პასუხობდა, საჩივრის ავტორმა მესამე პირისგან გაიგო, რომ ადვოკატი გ. ქ. პირადი პრობლემების გამო საზღვარგარეთ წავიდა, რის შემდეგაც ადვოკატს დაუკავშირდა და მისგან შეიტყო, რომ ადვოკატი გ. ქ.-ს ოფისში მუშაობდა ადვოკატი დ. კ. და კითხვების არსებობის შემთხვევაში, მას დაკავშირებოდა.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, გარკვეული პერიოდის შემდეგ მასთან არცერთ ადვოკატს აღარ ჰქონდა კომუნიკაცია და თავადაც უჭირდა მათთან დაკავშირება. საბოლოოდ ის დაუკავშიორდა ადვოკატ დ. კ.-ს და მოსთხოვა გადახდილი თანხის უკან დაბრუნება, ასევე, აღნიშნული თანხის მიზნობრივად გამოყენების დამადასტურებელი ქვითრები, რადგან მიიჩნევს, რომ ადვოკატებმა არ შეასრულეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ადვოკატმა დ. კ.-მა მას უთხრა, რომ მათ არ ჰქონდათ აღნიშნული თანხის განკარგვასთან დაკავშირებული ქვითრები და სასამართლოში სარჩელი არ შეუტანიათ, რადგან სარჩელი არის სამოქალაქო სამართლებრივი უფლების დაცვის მექანიზმი. ამის შემდეგ ადვოკატები მას კვლავ არ უკავშირდებოდნენ და არ პასუხობდნენ მის სატელეფონო ზარებს.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა გ. ქ.-მა განმარტა, რომ შპს ,,----------”-სა და ა. მ.-ს შორის საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა 2018 წლის 16 აგვისტოს. ა. მ.-ს საადვოკატო მომსახურებას უწევდენ აღნიშნულ საადვოკატო ბიუროში მომუშავე ადვოკატები, მათ შორის გ. ქ..

2.2 ადვოკატის განმარტების თანახმად, ხელშეკრულების გაფორმების დღესვე, მიმართეს საგამოძიებო ორგანოს და მოითხოვეს კლიენტის დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობა, ასევე საქმის მასალებისა და დაზარალებული ნივთების გადმოცემა.

2.3 ადვოკატი განმარტავს, რომ გამოძიების პროცესში იყო არაერთი ხარვეზი, რის გამოც მათ საჩივრით მიმართეს ქალაქის პროკურორს და მოითხოვეს საქმის თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ცენტრალური აპარატისთვის გადაცემა, აღნიშნული მოთხოვნა პროკურატურამ არ დააკმაყოფილა.

2.4 ადვოკატი განმარტავს, რომ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით მათ ორჯერ მიმართეს საჩივრით ქალაქის პროკურორს, ასევე მიმართეს, რაიონის პროკურორს თუმცა აღნიშნულმა პირებმა არ მოახდინეს საქმეზე სათანადო რეაგირება, რის შემდეგაც მათ მიმართეს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს და საქართველოს სახალხო დამცველს. აგრეთვე, ადვოკატის განმარტების თანახმად, მათი აქტიური ჩართულობის შედეგად მოხდა საქმის კვალიფიკაციის დაზუსტება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლს დაემატა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლი და საქმე ან ნორმებით მიმდინარეობს.

2.5 ადვოკატი ასევე განმარტავს, რომ ყველა აღნიშნული მოქმედების შესახებ ხდებოდა კლიენტის ინფორმირება, როგორც სატელეფონო საუბრის მეშვეობით, აგრეთვე კლიენტის მიერ ოფისში ვიზიტის დროს.

2.6 ადვოკატი განმარტავს, რომ კლიენტის უკმაყოფილება გამოიწვია საქმის შედეგმა, კერძოდ იმან, რომ გ.მ-ს გარდაცვალების მიზეზად დასახელდა ნარკოტიკული ზემოქმედება და არც ერთ პირს არ დაკისრებია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

IV სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი გ. ქ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი№/ სპეციალიზაცია - სისხლის სამართლი.

3.2 ა. მ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2022 წლის 14 აპრილს.

3.3 სადავო ქმედებები განხორციელდა 2018-2022 წლებში, შესაბამისად, არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ გ. ქ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონითა (მუხლი 32) და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით, შემდგომში „დებულება“, (მუხლი 30.1) გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიები ადვოკატ გ. ქ.-ს მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი მას არ უკავშირდებოდა და არ აწვდიდა ინფორმაციას საქმესთან დაკავშირებით, ასევე ადვოკატი არ პასუხობდა მის სატელეფონო ზარებს.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ გ. ქ.-ს მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

„ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან“ (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2).

„ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6).

5.3 ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მიაწოდოს კლიენტის საქმესთან დაკავშირებით ნებისმიერი ინფორმაცია ამომწურავად და დეტალურად, საქმის მიმდინარეობასთან მიმართებაში. ამასთან კოლეგიას მიაჩნია, რომ ამავდროულად კლიენტის პოზიტიური ვალდებულებაა, ადვოკატს საქმესთან დაკავშირებით მიაწოდოს ინფორმაცია, რომელიც ხელს შეუწყობს საქმის ეფექტიანად წარმართვას.

5.4 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატ-კლიენტს შორის ურთიერთობა წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობას, ხოლო სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად და კეთილსინდისიერად, სხვისთვის ზიანის მიყენების გარეშე. საპროცესო კოლეგია იზიარებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პოზიციას (საქმე №ას-1338-1376-2014), რომ „ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრიციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა მიერ ურთიერთობის სხვა მონაწილის ინტერესების პატივისცემას, საკუთარი როლისა და პასუხისმგებლობის გათავისებას, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც მას კონკრეტული პირდაპირი ვალდებულება არ ეკისრება.“

5.5 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მიხედვით, თითოეულ მხარეს ეკისრება იმ გარემოებების მტკიცების ვალდებულება, რომლებზეც ის ამყარებს საკუთარ პოზიციასა და მოთხოვნას. მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორს ევალება, ეთიკის კომისიას წარუდგინოს საკუთარი პოზიციის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატ გ. ქ.-ს მიერ ინფორმაციის მიუწოდებლობის ფაქტი, სწორედ საჩივრის ავტორის - ა. მ.-ს სამტკიცებელია.

5.6 მოცემულ შემთხვევაში საპროცესო კოლეგიამ დაადგინა, რომ ა. მ.-ს საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება გაფორმებული ჰქონდა შპს ,,----------”. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში, ა. მ.სთვის საადვოკატო მომსახურების გამწევი ერთ-ერთი ადვოკატი იყო გ. ქ.. ადვოკატ გ. ქ.-ს კომუნიკაცია ჰქონდა კლიენტთან. ა. მ. საჩივარშივე აღნიშნავს, რომ ადვოკატი გ. ქ. მას უკავშირდებოდა და საქმესთან დაკავშირებულ ინფორმაციას აწვდიდა, ადვოკატმა მას განუმარტა, თუ რომელი პროკურორი და გამომძიებელი იყვნენ ჩართული საქმეში. საპროცესო კოლეგიამ დაადგინა, რომ მხარეთა შორის გაფორებული იყო წერილობითი ხელშეკრულება რომლიდანაც დგინდება მხარეთა უფლება-მოვალეობები და საადვოკატო მომსახურების ფარგლები, აღნიშნული ხელშეკრულება წარმოადგინა საჩივრის ავტორმა, შესაბამისად საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატმა გ. ქ.-მა საჩივრის ავტორს, ა. მ.-ს, გადასცა საადვოკატო მომსახურების შესახებ წერილობითი ხელშეკრულება, რითაც შეასრულა კლიენტის ინფორმირების ვალდებულება. აქედან გამომდინარე, საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ დგინდება ადვოკატ გ. ქ.-ს მიერ ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 6.2 და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.6 მუხლების შესაძლო დარღვევა.

5.7 საჩივრის ავტორის შემდეგ პრეტენზიებზე, რომ ადვოკატმა მას არ წარმოუდგინა გადახდილი 1500 აშშ დოლარის მიზნობრივად განკარგვის დამადასტურებები ქვითრები და არ დაუბრუნა აღნიშნული თანხა, ეთიკის კომისიამ იმსჯელა შემდეგი ნორმის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

„კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს

გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15).

5.8 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის პრაქტიკის მიხედვით, ჰონორარი, საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯისგან განსხვავებით, წარმოადგენს ადვოკატის სახსრებს და აქედან გამომდინარე, ადვოკატი არ არის ვალდებულები ის განათავსოს ცალკე საბანკო ანგარიშზე და განკარგოს მიზნობრივად. ადვოკატის მიერ საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯი წარმოადგენს კლიენტის სახსრებს და ადვოკატს მასთან მიმართებით ეკისრება მეტი ვალდებულება, ვიდრე ჰონორართან მიმართებით. ხარჯის სახით მიღებული თანხა ადვოკატმა უნდა განათავსოს ცალკე საბანკო ანგარიშზე რათა არ მოხდეს აღნიშნული თანხის აღრევა ადვოკატის პირად სახსრებთან, ასევე ხარჯის სახით მიღებული თანხა ადვოკატმა უნდა გამოიყენოს მხოლოდ საჭიროებისთვის, რომლისთვისაც მან ეს თანხა კლიენტისგან მიიღო. თუ ურთიერთობა დასრულდება ისე, რომ ადვოკატი არ გამოიყენეს ხარჯის სახით მიღებულ თანხას, მან ის კლიენტს დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნოს.

5.9 მოცემულ შემთხვევაში საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემულმა საადვოკატო ბიურომ 1500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში მიიღო ჰონორარის სახით, რაზეც მეტყველებს მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების 4.1 მუხლი, რომლის მიხედვითაც აღნიშნული თანხა წარმოადგენს საადვოკატო მომსახურების საფასურს.

5.10 საპროცესო კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა გ. ქ.-მა აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით განახორციელა შემდეგი მოქმედებები: მიმართა საგამოძიებო ორგანოს და მოითხოვა კლიენტის დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობა, მიმართა საქალაქო და რაიონულ პროკურატურას, ასევე საქართველოს გენერალურ პროკურორს რის შედეგადაც მოხდა საქმის კვალიფიკაციის დაზუსტება და კვალიფიკაციის ნაწილში სსკ-ის 115 მუხლისთვის სსკ-ის 260 მუხლის დამატება. აგრეთვე აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ადვოკატმა გ. ქ.-მა მიმართა საქართველოს სახალხო დამცველს. კლიენტის დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობა არ მოხდა, ამიტომაც ადვოკატი შეზღუდული იყო საპროცესო მოქმედებების განხორცილების კუთხით. აქედან გამომდინარე, საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ გ. ქ.-ს მიერ საჩივრის ავტორისთვის გაწეულია საადვოკატო მომსახურება, რომლის ფარგლებში განხორციელებული მოქმედებებით ადვოკატმა გ. ქ.-მა გამოიმუშავა ჰონორარის სახით მიღებული 1500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში. შესაბამისად საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ დგინდება ადვოკატის მიერ აპეკ-ის 8.15 მუხლის შესაძლო დარღვევა.

5.11 საპროცესო კოლეგიის განმარტებით, საჩივრის ავტორმა ვერ დაადასტურა ადვოკატის მიერ აპეკ-ის 8.6, 8.15 და ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 6.2 მუხლების დარღვევა, თავისი მოვალეობები ადვოკატმა შეასრულა კეთილსინდისიერად, რის გამოც არ არსებობს ადვოკატ გ. ქ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5.12 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32–ე, 33–ე მუხლებით; დებულების 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N028/22 ადვოკატ გ. ქ.-ს მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მამუკა ნოზაძე/

კოლეგიის წევრი: /ანა კოტეტიშვილი/

კოლეგიისწევრი: /ზესარიონ ბოხაშვილი/